



ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო გორჯია“
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

რეგ: 2347660

21/04/2021

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ (შემდგომში - „კომისია“) 2022 წლის 20 იანვრის №2/11 გადაწყვეტილებით, მესტიის მუნიციპალიტეტში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების მიღების დროისათვის არსებულ ქსელზე მიერთების/სიმძლავრის გაზრდის ამ წერილის დანართში მითითებულ განაცხადებზე საბოლოო მომსახურების გაწევის ვადად განსაზღვრული იქნა 2022 წლის 30 აპრილი.

გვინდა მოგახსენოთ, რომ მიუხედავად კომისიის მიერ ზემოხსენებულ ქსელზე მიერთების/სიმძლავრის გაზრდის განაცხადებზე ვადების გაზრდისა, მესტიის მუნიციპალიტეტში ელექტრომომარაგების კუთხით არსებული ნეგატიური სურათი არ შეცვლილა და კვლავ პრობლემატური რჩება აღნიშნულ განაწილების არეალში საიმედო ელექტრომომარაგების, ქსელის სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისა და გამანაწილებელ ქსელთან ახალი მომხმარებლების მიერთებების საკითხები, რაც გამოწვეულია აღნიშნულ განაწილების არეალში არსებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ ელექტროენერჯის საფასურის გადაუხდელობით და ელექტროენერჯის მოხმარების არაგონივრული ზრდით, რომლის თაობაზეც მიმდინარე და გასულ წლებში გეცნობათ კომპანიის არაერთი წერილით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით, კვლავ ადგილი აქვს განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც ხელს უშლის განაწილების ლიცენზიატს გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულებაში, კერძოდ, კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, დღეის მდგომარეობით მესტიის მუნიციპალიტეტში კვლავ მოუგვარებელია არსებული პრობლემები, კომისიის 2021 წლის 28 ივნისის #19 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესების“ მე-18 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე მოგმართავთ თხოვნით, გაზარდოთ დანართში მითითებული ობიექტების გამანაწილებელ ქსელზე მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის პერიოდები.

თუმცა, აქვე გაცნობებთ, რომ თუ ამ წერილში მითითებული პრობლემები ვერ მოგვარდა ზემოხსენებულ ვადაში, დანართში მითითებული ობიექტებისათვის ქსელზე ახალი მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულება შეუძლებელი იქნება, რის გამოც, კიდევ ერთხელ გთხოვთ, გაგვიწიოთ დახმარება ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრაში.

ამასთანავე, მოგახსენებთ, რაოდენობიდან გამომდინარე ფიზიკურად შეუძლებელია განმცხადებლებთან წერილის მატერიალური ფორმით დაგზავნა, შესაბამისად, კომპანია უზრუნველყოფს მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა და შესაბამისი ლინკის (სადაც შესაძლებელია წერილის ელ. ვერსიის ნახვა) მეშვეობით სათანადო ინფორმაციის მიწოდებას.

გთხოვთ, განიხილოთ მოცემული საკითხი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: 1 (ერთი) “Excel” ფაილი.

პატივისცემით,

ილია მათიაშვილი

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს წარმომადგენელი